ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ
საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ
საკითხთა კომისია

3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. №1 ტელ: (0496) 27-45-72
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia. Tel: (0496) 27-45-72

N 232
16/12/2015

232-06-3-201512161209

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის - საკრებულოს
განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობის
დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ლელა საჯაიას

ა ნ გ ა რ ი შ ი

16.11.2015 წ.-დან 16.12.2015-მდე განხორციელებული საქმიანობის შესახებ

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისია ახორციელებს ,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით, საკრებულოს რეგლამენტით და კომისიის დებულებით განსაზღვრულ უფლებამოსილებას.

საქმიანობას წარვმართავ 2015 წლის სამუშაო გეგმის შესაბამისად, რომელიც დამტკიცებულია საკრებულოს ბიუროს მიერ 2015 წლის 31 იანვარს.

ზემოაღნიშნულ პერიოდში კომისიამ მოიწვია ორი სხდომა, რომლებზეც განიხილა საკითხები:

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ.
   მომხს:გ.მამაკაიშვილი
2. 1.ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საჯარო მოხელეთა 2016 წლის სასწავლო გეგმის შესახებ.
   მომხს: ლ.საჯაია
3. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინების მიზნით კომისიაში შემოსული წინადადებების განხილვის შესახებ.
   მომხს: ლ.საჯაია
   თანამომხს:ბ. ღლონტი, ი. დუმბაძე.
4. 1.ოზურგეთის მუნიციპალიტეტში 2016 წლის საახალწლო ღონისძიებების მოწყობის შესახებ.
   მომხს: ლ.საჯაია
   თანამომხს: ნ. ხომერიკი

კომისიის წევრებმა მოისმინეს და განიხილეს გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მოხსენება „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ“-გამოთქვეს მოსაზრებები:

ა) შესწავლილ უნდა იქნეს ე. წ.“დღის ცენტრის“დაფინანსების მიზანშეწონილობის საკითხი.

ბ)მიზანშეუწონელია რელიგიის მხარდამჭერი პროგრამის დაფინანსების გაზრდა, მაშინ, როცა 20-მილიონ ლარი ეძლევათ სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

გ).მიზანშეწონილია გაორმაგდეს თანხები ლეიკემიითა და ონკოლოგიური დაავადებების მქონე ავადმყოფების დახმარების პროგრამაში(პროგრამული კოდი 06.02.12.) ასევე c-ჰეპატიტით დაავადებულთა კვლევის პროგრამაში (პროგრამული კოდი 06.02.15).

კომისიის წევრებმა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინების მიზნით მიზანშეწონილად მიიჩნიეს დეპუტატ ბ. ღლონტის წინადადების- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ ომის ვეტერანთა ბუნებრივი აირის გადასახადის ნაწილობრივი დაფარვის მიზნით ბიუჯეტში თანხების გათვალისწინების თაობაზე-მუნციპალიტრტის გამგეობისათვის მიმართვა, რაც შეეხება დეპუტატ ი.დუმბაძის წინადადებას-აგრარული პროფილით, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ სტუდენტთა სწავლის საფასურის დაფარვას, პროექტის ეფექტიანობის საფუძვლიანი შესწავლა-გაანალიზების გარეშე მიზანშეუწონლად მიიჩნიეს მისი განხორციელება.

კომისიის წევრებმა მოიწონეს მუნციპალიტრტის გამგეობის მიერ წარმოდგენილი საჯარო მოხელეთა 2016 წლის სასწავლო გეგმა.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტში 2016 წლის საახალწლო ღონისძიებების დაგეგმვისა და მოწყობის თაობაზე. მოისმინეს მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, სპორტისა და ტურიზმის განვითარების სამსახურის უფროსის-ნ. ხომერიკის ინფორმაცია. აღინიშნა, რომ მიმდინარე წელს დაახლოებით ისეთივე ღონისძებებია დაგეგმილი, როგორიც იყო გასულ წელს, მაგრამ მნიშვნელოვნადაა გაზრდილი სხვადასხვა კატეგორიის, სოციალურად შეჭივრებული ოჯახების რაოდენობა, რომელთაც გაეწევათ საახალწლო დახმარება. გაუმჯობესებულია პაკეტიც. დიდი ღონისძიების მოწყობა გამგებლის - მ. ჭანუყვაძის განცხადებით გათვალისწინებულია საკალანდოდ.

კომისიის წევრებმა დააყენეს საკითხი ადმინისტრაციული ერთეულების ცენტრების საახალწლოდ მორთვის თაობაზე. მუნიციპალიტეტის გამგებელმა მ.ჭანუყვაძემ შემოგვთავაზა-საახალწლო ღონისძიებასთან დაკავშირებული წინადადებების წარდგენა შესაბამის სამსახურებთან. კომისიის წევრებმა ძირითადად მოიწონეს მუნციპალიტეტის გამგეობის მიერ წარმოდგენილი 2016 წლის სახალწლო ღონისძებათა გეგმა.

ლელა საჯაია



კომისიის თავმჯდომარე

განათლების,კულტურის,სპორტის,ახალგაზრდულ საქმეთა,ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისია